"ემოციური ინტელექტი და მისი გავლენა გუნდის მართვისა და ეფექტურობის ზრდაზე: მენეჯმენტის ახალი ტენდენციები"

სალომე წაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნეს ადმინისტრირება, მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მარიკა მჭედლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე წაქაძე

12.12.2025 .“

ანოტაცია

ნაშრომი „ემოციური ინტელექტი და მისი გავლენა გუნდის მართვისა და ეფექტურობის ზრდაზე: მენეჯმენტის ახალი ტენდენციები“ შეისწავლის ემოციური ინტელექტის (EQ) როლს ფინანსურ სექტორში მენეჯმენტისა და გუნდური შედეგების გაუმჯობესებაში. კვლევის მიზანია, გაანალიზოს EQ-ის კომპონენტების — თვითრეგულირების, ემპათიის, თვითცნობიერების, მოტივაციისა და სოციალური უნარების — გავლენა გუნდურ მუშაობასა და ორგანიზაციულ შედეგებზე. ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, ინტერვიუები და რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელშიც 100 რესპონდენტი მონაწილეობდა, ხოლო 7 მენეჯერთან ინტერვიუ ჩატარდა.

ლიტერატურული მიმოხილვა ემოციური ინტელექტის თეორიულ საფუძვლებსა და მენეჯმენტში მის გამოყენებას აშუქებს. განიხილება Goleman-ის, Mayer-ისა და Salovey-ის მოდელები, რომლებიც ხაზს უსვამენ EQ-ის როლს ლიდერობისა და კონფლიქტების მართვაში. კვლევამ დაადასტურა, რომ მაღალი EQ-ის მქონე მენეჯერები უკეთ მართავენ სტრესულ სიტუაციებს, ამყარებენ პოზიტიურ კომუნიკაციას და აძლიერებენ თანამშრომლების მოტივაციას.

კვლევის პრაქტიკულმა ნაწილმა, რომელიც ინტერვიუებსა და რაოდენობრივ გამოკითხვაზე დაფუძნდა, გამოავლინა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (80%-ზე მეტი) მიიჩნევს, რომ EQ კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამუშაო გარემოს პოზიტიურობისა და გუნდის ეფექტურობისთვის. კონკრეტულად, 75%-მა აღნიშნა, რომ მენეჯერების მხრიდან ემპათიური მიდგომები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გუნდურ ურთიერთობებს და ამცირებს კონფლიქტების რიცხვს. ინტერვიუებმა კი აჩვენა, რომ მენეჯერები, რომლებიც აქტიურად იყენებენ EQ-ის კომპონენტებს,

უკეთესად პასუხობენ თანამშრომელთა საჭიროებებს და უზრუნველყოფენ გუნდური პროცესების გამართულობას.

ნაშრომში ასევე განხილულია ფინანსურ სექტორში არსებული მენეჯერული გამოწვევები, როგორიცაა კონფლიქტების მართვა, თანამშრომლების მოტივაციის შენარჩუნება და გუნდური კომუნიკაციის გაუმჯობესება. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ემოციური ინტელექტის კომპონენტების განვითარება აუცილებელია მენეჯმენტისთვის. აღნიშნული დასკვნები ემყარება როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ანალიზს, რაც ქმნის სრულყოფილ სურათს EQ-ის მნიშვნელობაზე ორგანიზაციული წარმატებისთვის.

ჰიპოთეზა, რომ „ემოციური ინტელექტი პირდაპირ უწყობს ხელს გუნდის ეფექტურობის ზრდას ფინანსურ სექტორში“, ნაშრომით დადასტურდა. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ EQ-ის კომპონენტების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის თანამშრომლების ჩართულობას, კმაყოფილებას და გუნდის საერთო პროდუქტიულობას. ნაშრომი მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება EQ-ის განვითარების ტრენინგების დანერგვას, კომუნიკაციის გაუმჯობესებას და ორგანიზაციული კულტურის ადაპტაციას, რაც ხელს შეუწყობს მენეჯმენტის ეფექტურობას.

ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ემოციური ინტელექტის როლის გააზრებაში მენეჯმენტში და წვლილს შეაქვს ფინანსურ სექტორში მენეჯერული უნარების გაუმჯობესების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, მენეჯმენტი, გუნდის ეფექტურობა, ფინანსური სექტორი, თვითრეგულირება, ემპათია, მოტივაცია, კონფლიქტების მართვა, რესპონდენტები, ინტერვიუები.

Annotation

The paper “Emotional Intelligence and its Impact on Team Management and Performance: New Trends in Management” examines the role of emotional intelligence (EQ) in improving management and team performance in the financial sector. The aim of the study is to analyze the impact of EQ components — self-regulation, empathy, self-awareness, motivation, and social skills — on teamwork and organizational performance. The paper uses a critical literature review, interviews, and a quantitative survey with 100 respondents and 7 managers.

The literature review highlights the theoretical foundations of emotional intelligence and its application in management. The models of Goleman, Mayer, and Salovey are discussed, which emphasize the role of EQ in leadership and conflict management. Research has confirmed that managers with high EQ better manage stressful situations, establish positive communication, and increase employee motivation.

The practical part of the study, based on interviews and a quantitative survey, revealed that the majority of respondents (over 80%) believe that EQ is critically important for a positive work environment and team effectiveness. Specifically, 75% noted that empathetic approaches from managers significantly improve team relationships and reduce the number of conflicts. The interviews showed that managers who actively use EQ components are better able to respond to employee needs and ensure smooth team processes.

The paper also discusses managerial challenges in the financial sector, such as conflict management, maintaining employee motivation, and improving team communication. The results of the study confirm that developing the components of emotional intelligence is essential for management. The findings are based on both theoretical and practical analysis, which creates a complete picture of the importance of EQ for organizational success.

The hypothesis that “emotional intelligence directly contributes to team performance in the financial sector” was confirmed by the paper. The data obtained show that the use of EQ components significantly increases employee engagement, satisfaction, and overall team productivity. The paper includes recommendations regarding the implementation of EQ development training, improved communication, and organizational culture adaptation, which will contribute to management effectiveness.

The paper represents an important step in understanding the role of emotional intelligence in management and contributes to the process of improving managerial skills in the financial sector.

Keywords: emotional intelligence, management, team effectiveness, financial sector, self-regulation, empathy, motivation, conflict management, respondents, interviews.